პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი წულაიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი წულაიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


ბიბლიოთეკის ქუჩა
ოქმარ ხიზანიშვილის ქუჩა
ილია ვეკუას ქუჩა
ანგია ბოტკოვიშვილის ქუჩა
ანგია ბოტკოვიშვილის ქუჩა
ოქმარ ხიზანიშვილის ქუჩა
ილია ვეკუას ქუჩა
მარიან ნოზაძის ქუჩა
მარიან ნოზაძის ქუჩა
KAPR
ალექსი მეძნიანიძის ქუჩა
რამაზ შენგელიას ქუჩა
რამაზ შენგელიას ქუჩა
ოქსან ნონეშვილის ქუჩა
ოქსან ნონეშვილის ქუჩა
ოქსან ნონეშვილის ქ
ოქსან ნონეშვილის ქ
ონის ქუჩა
ალექსი ბოტკოვიანიძის ქუჩა
ალექსი ბოტკოვიანიძის ქუჩა
ქოლის ქუჩა
ბაბუაბერის ქ
ალ
ეროვნ ნინოს ქუჩა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ლევან აბაშიძეს,

მოქალაქე ლიკა ჭელიძის (პ/ნ: 01019080892)
მის: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, სანზონა, მუხრანის მე-2 შეს. №14
მობ: (+995) 571 007525

განცხადება

მოგახსენებთ, რომ გიორგი (გიზო) წულაია დემაგულის ძე დაიბადა 1968 წლის 6 იანვარს. 1974-1985 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის №39-ე საჯარო სკოლაში, რომელიც მდებარეობს გლდანის რაიონის პირველ მ/რ-ში.

გიორგი (გიზო) წულაია 1985-1987 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. 1987 წლიდან აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში და 1989 წლის 9 აპრილს მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის საპროტესტო მშვიდობიან აქციაში.

გიორგი (გიზო) წულაია 1992 წლის 28 აგვისტოდან იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთში, ეროვნული გვარდიის პირველი ბრიგადის პირველი ბატალიონის მე-4 სპეცდანიშნულების შემადგენლობაში. იგი მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ომში, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში - აფხაზეთში, კერძოდ: აჩადარის, ეშერის, გაგრისა და განთიად ლესელიძისთვის წარმოებულ ბრძოლებში.

1992 წლის 5 ოქტომბერს განთიად ლესელიძისთვის წარმოებული ბრძოლების დროს გიორგი (გიზო) წულაია უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 30 აპრილის №30/04/01 განკარგულებით, გიორგი (გიზო) წულაია დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

გთხოვთ, გლდანის მე-3 „ა" მ/რ-ის, მე-17 კორპუსის მიმდებარე ქუჩას (საკადასტრო კოდ(ებ)ი: 01.11.12.005.029; 01.11.12.005.023) მიენიჭოს აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული, ეროვნული გმირის - გიორგი (გიზო) წულაიას სახელი.

დანართი: 7 (შვიდი) ფურცლად.

პატივისცემით,

საქმე №2/382-05

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

4 აპრილი 2005 წ. ქ.თბილისი

გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს
მოსამართლე ი.მარიამიძემ
ნ. გაბინაშვილის მდივნობით,
განმცხადებელ დემაგული წულაიას მონაწილეობით
განვიხილე: განმცხადებელ დემაგული წულაიას განცხადება პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების თაობაზე

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

განმცხადებელმა დემაგულ წულაიამ მომართა სასამართლოს და მთავარ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მისი შვილი გიორგი დემაგულის ძე წულაია იბრძოდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისათვის აფხაზეთში ეროვნული გვარდიის I ბრიგადის I ბატალიონის მე-4-ე სპეცდანიშნულების („თეთრი არწივი") შემადგენლობაში 1992 წლის 28 აგვისტოდან, 1992 წლის 5 ოქტომბრამდე. განთიად ლესელიძისათვის წარმოებული ბრძოლების დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

განმცხადებელი დემაგულ წულაია ითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს მისი შვილის გიორგი წულაიას უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებას. აღნიშნული გადაწყვეტილება მას ესაჭიროება სოციალური შეღავათების მისაღებად.

განვიხილე რა განცხადება და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მოვუსმინე განმცხადებლის განმარტება, ვთვლი, რომ განცხადება საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 317-ე მუხლის შესაბამისად „განცხადება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ შეიტანება სასამართლოში დაინტერესებულ პირის მიერ განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით". ამავე კანონის 319-ე მუხლით „სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადებისას მოსარჩელე გამოარკვევს, თუ რომელ პირებს შეუძლიათ მიაწოდონ ცნობები დაკარგულის შესახებ, აგრეთვე გამოჰკითხავს სათანადო ორგანოებს დაკარგული პირის შესახებ მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ან სამაუშაოს შესახებ". ს.კ 21-ე მუხლის I პუნქტის თანახმად „დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას"...

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი: საინფორმაციო სამისამართო განყოფილებიდან წარმოდგენილია ცნობა სადაც აღნიშნულია, რომ წულაია გიორგი 1990 წლის 13 სექტემბერიდან რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი გლდანის 1 მ/რ, კორპუსი №16 ბინა 50 (ს.ფ.3)

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნის და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისიის მიერ გაცემული 2005 წლის 23 თებერვლის №62

საბრძოლო მოკვლევა

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი თადარიგის გენერალ მაიორი გიორგი ყარყარაშვილი, ეროვნული გვარდიის I ბრიგადეს საინფორმაციო სამსახურის ყოფილი უფროსი თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი დავით ბეჟაშვილი, ეროვნული გვარდიის I ბრიგადის I ბატალიონის ოცეულის ყოფილი მეთაური თადარიგის ლეიტენანტი ზურაბ კეკენაძე ვადასტურებთ, რომ გიორგი დემგულის ძე წულაია 1992 წლის 28 აგვისტოდან 1992 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით მოხალისედ ირიცხებოდა ეროვნული გვარდიის მე-4 სპეცდანიშნულების („თეთრი არწივი") შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში აფხაზეთის რეგიონში. კერძოდ: აჩადარის, ეშერის, გაგრისა და განთიად-ლესელიძისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

1992 წლის 5 ოქტომბერს განთიად-ლესელიძისათვის წარმოებული ბრძოლების დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

საბრძოლო მოკვლევა სწორია, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

თადარიგის გენერალ-მაიორი — გ. ყარყარაშვილი

თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი — დ. ბეჟაშვილი

თადარიგის ლეიტენანტი — ზ. კეკენაძე

12/2.116 ეთ 50

ავტომობილთა უფლებათ-შეკვეთილ ლაკირებულ მეტალიზებულ ზედაპირების

სახელმწიფო კომისია

"133"

"8" დეკემბერი 2

ბ ნ ო ბ ა

ბიჯანა ალექსანდრეს წყალობილ - - - - - - - - - - - - - -

მასზე, რომ მისი ზეთი-ქლორი წყალია - - - - - - - - იბრძოლა

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებისათვის და ავის უფლებათ-შეკვეთილ ლაკირ

ცნობა ეძლევა საწარმოებისადმი წარსადგენად.

სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე

წევრები

/ვ.ლიტორკინი

გიორგი წულაია

საქართველოს პრეზიდენტის
2014 წლის 30 აპრილის № 30/04/01
განკარგულებით დაჯილდოვდა

ვახტანგ გორგასლის
I ხარისხის ორდენით

№ 108



მოწმობა № 05169

საქართველოს
პრეზიდენტი

გ. მარგველაშვილი

By Decree № 30/04/01 of April 30, 2014
of the President of Georgia

Giorgi Tsulaia

is awarded with

the Order of
VAKHTANG GORGASALI - I RANK

№ 108



Certificate № 05169

President
of Georgia

G. Margvelashvili

დაჯილდოების მოწმობა

AWARD CERTIFICATE

უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის
საქვეყნოქმედო ფონდი "მოლოდინი"

№ 33

ცნობა

"10" ივნისი 2001 წ.

მიეცა წიკლაურ დავუსკელის

მასზედ, რომ მისი შვილი წიკლაურ ეროსი დავუსკელის ძე იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და არის უგზო-უკვლოდ დაკარგული.

ცნობა მიეცა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

თავმჯდომარე /ვ. ლობორჯგინიძე/

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032425397**
თარიღი: **09/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ ჩილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ლიკა ჭელიძის 2024 წლის 02 აგვისტოს საქმე #19/032421516-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია გლდანის რაიონში მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის გიორგი წულაიას სახელის მინიჭება.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სიტუაციური ნახაზი (ს.კ.01.11.12.005.029; 01.11.12.005.023) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 10 (ათი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032433912**
თარიღი: **04/12/2024**

ადრესატი: ვეტერანების სახელმწიფო საქმეთა სამსახური

სამსახურის დირექტორს,
გენერალ-მაიორ კობა კობალაძეს

ბატონო კობა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში, 19/032421516-03 წერილის საფუძველზე, მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, გლდანის რაიონში, ერთ-ერთი ქუჩისთვის გიორგი (გიზო) წულაიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საკითხის სრულყოფილად დამუშავების მიზნით გიგზავნით კომისიაში შემოსული კორესპონდენციის ასლს და გთხოვთ, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით თქვენი პოზიციის დაფიქსირებას.

დანართი: 8 (რვა) გვერდი

პატივისცემით:

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, თბილისი, ორთაჭალა, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N12ა.
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
12A GIORGI GURAMISHVILI STR. ORTACHALA TBILISI, GEORGIA
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00042414

06/12/2024

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში შემოსული თქვენი 2024 წლის 4 დეკემბრის №03-032433912 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის №42037) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში არსებული ერთ-ერთი ქუჩისთვის გიორგი (გიზო) წულაიას სახელის მინიჭებას, გაცნობებთ შემდეგს:

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში დაცული ინფორმაციის თანახმად, გიორგი დემაგულის ძე წულაია, ეროვნული გვარდიის მე-4 სპეც. დანიშნულების („თეთრი არწივი") შემადგენლობიდან ნამდვილად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში და 1992 წლის 5 ოქტომბერს, ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულებისას დაიკარგა უგზო-უკვლოდ, რის საფუძველზეც შემდგომში გამოცხადდა საომარ მოქმედებებში დაღუპულად. სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, თავდადებისა და თავგანწირვისათვის, სიკვდილის შემდეგ გიორგი წულაია დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით".

სამშობლოს წინაშე გიორგი წულაიას დამსახურების გათვალისწინებით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური მხარს უჭერს თქვენს წერილში მითითებული ობიექტისთვის მისი სახელის მინიჭებას.

პატივისცემით,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური

დირექტორი
გენერალ-მაიორი
კობა კობალაძე

გიორგი წულაია

(1968—1992)

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი

დაიბადა 1968 წლის 6 იანვარს ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ცელინოგრადში (ასტანა). 1974-1968 წლებში სწავლობდა ქ.თბილისის 39-ე საშუალო სკოლაში. 1985-1987 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1988 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1988 წლიდან აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში და 1989 წლის 9 აპრილს მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის საპროტესტო მშვიდობიან აქციებში.

გიორგი(გიზო) წულაია 1992 წლის 28 აგვისტოდან იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში, ეროვნული გვარდიის პირველი ბრიგადის პირველი ბატალიონის მე-4 სპეცდანიშნულების შემადგენლობაში. იგი მონაწილეობდა აფხაზეთში, კერძოდ აჩადარის, ეშერის, გაგრისა და განთიად-ლესელიძისთვის წარმოებულ ბრძოლებში.

1992 წლის 5 ოქტომბერს განთიად-ლესელიძისთვის წარმოებული ბრძოლების დროს გიორგი(გიზო) წულაია უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

გარდაცვალების შემდეგ 2014 წლის 30 აპრილის განკარგულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.